

რედაქცია: სოლომ კუპ, ბაღის ქუჩაზე, მ. შადინოვის სახლში, № 33.

ხელის-მოწერა მიიღება რედაქციაში. ბარეში მცხოვრებთათვის: ВЪ Тифлисъ. Въ редакцію „Дროება“.

გაზეთის ფასი: მთელის წლისა — 8 მ., ნახევარ წლისა — 5 მ., ხუთის თვის — 3 მ., ერთის თვისა — 1 მ.

ცალკე ნომერი ღირს შაურად.

დროება

უოველ დღე ორშაბათს გარდა

ფაქტობრივად: დიდი ახალი
გზით ასობე 1 კაპ., ჩვეულებრივად: ცი-
ცეროთი — 5 კაპ., პატარათი — 4 კაპ.

რედაქციის უფლება აქვს გა-
სწოროს და შეამოწმოს დასაბეჭდო
გამოცემის სტატეგია. დაუბეჭდე-
ლი სტატეგია ავტომატურად დაუბრუნ-
დება.

ცალკე ნომერი ღირს შაურად.

ორი თვის ხელის-მოწერა

„დროებაზე“

მიიღება რედაქციაში — ბაღის (სადო-
ვის) ქუჩაზე მ. შადინოვის სახლში, № 33

შალაქს გარეშე მცხოვრებთა ამ აღ-
ჩენით უნდა დაიბარონ გაზეთი: ВЪ Тиф-
лисъ. Въ редакцію газ. „Дроება“.

ფასი ორი თვის გაზეთისა, ე. ი.
1 ნომბრიდან წლის დამლევამდინ, გა-
ზეთით — ორი მანეთი.

ტელეგრაფები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

გერლინი, 30 ოქტომბერს. აქაური
საფრანგეთის ელჩი მარცინში წავიდა
დღეს თ. ბახმარკთან.

სამარა, 30 ოქტომბერს. მდ. მოლგამ
გაყინვა დაიწყო; გემები ევლარ დაიარ-
ბიან, რადგან დიდი ყინულები მოაქვს
წყალსაო.

პეტერბურლი, 31 ოქტომბერს. ბუშინ
აქაური ოლქის სასამართლოში დანიშ-
ნული იყო დუელის საქმე მრეწკოვსა
და მიწნევესკის შუა, მაგრამ, რადგან
მოწმე არ მოვიდა, ეს საქმე სხვა დროს-
თვის გადადევს.

საქართველო

დღიური

* * ბუშინ, 1 ნოემბერს, თფილისის
პუბლიკურს ბიბლიოთეკაში იყო სხო-
მა „ქავკაზიის არხეოლოგიურ საზოგა-
დოებისა“, რომელზედაც სხვათა შორის,
დაესწრო ამ ახლო ხანში რუსეთიდან
ჩამოსული გრაფი უვაროვი.

საზოგადოების თავსჯდომარემ ყვე-
ლაზე პირველად მოახსენა კრებას გრა-
ფის უვაროვის აზრი იმის თაობაზედ — თუ
რა საშუალებით შეიძლება ამ საზოგა-
დოების გაცხოველება და გავრცელება
ქაკკასიაში, როგორ უნდა მოიქცეს

საზოგადოება, რომ იმან თავის მიზანი
შეასრულოს, როგორ უნდა იმუშაოს,
როგორ შეიძინოს ახალი წევრები, აგ-
რეთვე ღონისძიება თავის არსებობისა-
თვის და სხვ. და სხვ.

შემდეგ საზოგადოების წევრმა უფ.
მარიცოვმა წაიკითხა თავის გრძელი
სტატია, რომელშიაც ამტკიცებდა, რომ
ძველად ნახსენები შაზისის მდინარე
რიონი როდი არისო, არამედ მდ. შო-
როხი უნდა იყოსო. მსენოფონტაც
მოიყვანა უფ. მარიცოვმა ამ აზრის და-
სამტკიცებლად, მოსე ხორენელოც და
სხვა მეცნიერნიც, სომხეთისა მცირე
აზიის ადგილებიც ეტნოგრაფიულად აგ-
ვიწერა, ტიგრისა და მეფრატის მდინა-
რებზედაც გაგვტარა, — მაგრამ არ მგო-
ნია, რომ ვინმე მსძენელთაგანი დაერ-
წმუნებინა იმას თავის წინადადებაში,
რომ შაზისი შოროხი არის და არა
რიონიო.

უკანასკნელმა გრაფ უვაროვმა ილა-
პარაკა საზოგადოთ არხეოლოგიის მნიშ-
ვნელობაზედ და იმ სარგებლობაზედ,
რომელნიც ამ საგანს მოაქვს ისტორიისა
და ზოგი სხვა მეცნიერების შესას-
წავლად. ბოლოს გრაფმა სთქვა რამდენ-
იმე სიტყვა იმ არხეოლოგიურ კრება-
ზედ, რომელიც მომავალ წელს იქნება
ჩვენს ქალაქში. ბრაფ უვაროვმა სთქვა,
რომ იმ ოფიციალურ გამოფენას გარდა,
რომელსაც არხეოლოგიურმა საზოგა-
დოებამ უნდა გამართოსო, კარგი იქნე-
ბა, რომ გამოაცხადოთ გაზეთებში,
სთხოვოთ კერძო პირებს და ვისაც რა-
მე აქვსთ არხეოლოგიური საინტერესო
საგნები, წარმოადგინონ და ამნაირად
მოგროვილის საგნებიდან მეორე გამო-
ფენა გამართონო.

საზოგადოებამ დიდის თანაგრძნობით
მიიღო ეს აზრი გრაფ უვაროვისა.

* * ბუშინ, საღამოს 7 სა-თზე, თი-
მამშევის ქარვასლაში, შტაბის პარ-და-
პირ სარდაფის ეტაჟიდან უეცრად საში-
ნელი კომლი ამოვარდა. რამდენიმე მი-
ნუტის განმავლობაში აუარებელი ხალ-
ხი მოგროვდა. მაგრამ მაგდენი არა ყო-
ფილა-რა, რადგან ალიც არ გამოჩენილა
და რამდენიმე მინუტის შემდეგ ცეცხლის
მქრობმა კამანდამ გააქრო ცეცხლი.

* * უფ. იოსებ მურადოვი გვწერს
მუთაისიდან, რომ რადგან თქვენს გა-
ზეთში ორჯერ იყო დაბეჭდილიო (უფ.
სვირელის სტატია და ონელ-ღებელის
კორრესპ.), რომ მუთაისში წიგნის მალ-

ხია არ არის და ამის გამო სოფლის
შკოლებს დიდი დაბრკოლება აქვთო,
გამოაცხადეთო, რომ მე დაუწყე მუთა-
ისში წიგნის ვაჭრობა და ყოველგვარი
სახელმძღვანელო წიგნები მაქვსო.

* * ბუშინ-წინ, ხუთშაბათს, გაიხსნა
თფილისში თავ. ი. ბ. ბაგრატიონ-მუნ-
რანსკის „საეპრო სახლი“, რომელზე-
დაც ელაპარაკობდით ჩვენ წარსულ
თვეში. საათის თორმეტზე ამ „საეპრო
სახლის“ კანტორაში (იარბუკა, სკუთა-
რი სახლი) შეკრბა ორმოციოდ ამ „სახ-
ლის“ მონაწილენი და არხიმანდრიტმა
ბრიგირიმ გადინადა მოღობნა. ამ მო-
ღობნის შემდეგ მამა არხიმანდრიტმა წარ-
მოსთქვა სიტყვა, რომელშიაც მკაღვით
და ცხოვლათ დაუბარა იქ შეკრებილ
საზოგადოებას ამ „სახლის“ მნიშვნელო-
ბა ჩვენი ღრიბი და გამსესებლებთაგან
შეწუხებული სოფლის საზოგადოებისათ-
ვის. თავისი სიტყვა გაათავა სურვილით,
რომ თავ. მუნრანსკის წაყვანა ამ „სახ-
ლის“ საქმე პატიოსნებით და „თანამეა-
მულეთა თვისთა სასარგებლოთ.“ თ. მუნ-
რანსკიმ, თავის მხრით, მისცა აღთქმა
მრისტეს ჯვრისა და სახარების წინ, რომ
ის არ ზოგავს თავის ძალას და ღონეს,
რომელიც შერჩენია იმას, 67 წლის მო-
ხუცს, რომ მისგან დფუძნებული საეპ-
რო სახლი გახდეს ჩვენი სოფლობის დამ-
ხმარებელ წყაროთ.

მოღობნის შემდეგ ერთს კანტორის
ზალაში იყო გამართული სადილი.

„დროების“ კორრესპონდენცია

ზამო იმერეთი, 17 ოქტომბერს. ამ
უკანასკნელი ოთხი თვის განმავლობა-
ში ბევრჯერ წაიკითხეთ თქვენს პატიე-
ცებულ გაზეთში და აგრეთვე ქურნალში
„ივერიაში“ საყვედური იმერეთის სა-
სოფლო შკოლებზე. ჩივიან, რომ მას-
წავლებლები არ არიან კარგი მომზადე-
ბული თავის საქმის ასასრულებლად,
შკოლებს ზურავენო და სხვ.

შველა ამის მიზეზები ჯერ კიდევ
კარგათ ვერაფერს გაუგია. ამის მიზეზი,
ჩემის აზრით, შემდეგია:

1) მასწავლებლები, ხომ ცუდნი არიან
და ცუდნი; არიან იმისთანა მასწავლებ-
ლები, რომელნიც მუთაისის სასული-
ერო სასწავლებელის მესამე ან მეორე
კლასიდან გამასულან და მერე სწავლა
აღარსად გაუგრძელებიათ. ამათთანა

მასწავლებლებმა რა იციან რა არის მასწავლებლობა? იმის შეგირდებს არაფერს არ ასწავლიან. სამი ოთხი წელიწადი ყმაწვილები ამისთანა მასწავლებლებთან არიან და იქ ვერას სწავლობენ.

ხალხი ხედავს, რომ სამ-ოთხ წელიწადს იმათ შეილებს არა უსწავლიათ-რა, ამითი გაჯავრებული მშობლები თავიანთ შეილებს შკოლაში აღარ უშვებენ, შკოლები ცარიელდება და, რასაკვირველია, დაიხურება; მერე რომ უთხრა იმათ, ისევ შკოლა გახსენითო და ეხლა კარგ მასწავლებელს გიშოვნითო, მაშინვე პასუხათ იმას მოგცემენ: „მანც იყო ყველამ მოგვატყუილა და ეხლა სწორეთ არ გვინდა; თუ შევიძელით, სადაც რიგიანი სწავლაა, იქ წავიყვანთ და თუ ვერ შევიძელით, დარჩენ ჩვენი შეილები; ჩვენთან მუშაობას მანც ვასწავლით, ეგებ ის მანც არ დაევიწყდეს.“ ან კი რაგორღა უნდა გაბედოს სოფლის საზოგადოებამ შკოლის გახსნა იმის შემდეგ, როდესაც ისინი ხედავენ იმისთანა მასწავლებლებს, როგორც შემდეგნი არიან შორაპნის მაზრისა სოფ. ჩხარის პერევისაში და რგანში; მუთისის უეზლში, საჩინოში, ისრითში და სხვ.

სოფ. ჩხარის შკოლის მასწავლებელი უ. პ. ლ. იყო მუთისის სასულიერო სასწავლებლის მესამე კლასში და დაანება სწავლას თავი, რადგანაც, ორ-სამი წლის მესამე კლასში მყოფის შემდეგ, არ გადაიყვანეს მეოთხეში; შემდეგ სწავლა აღარსად გაუგრძელებია. ჯერ ერთ ორიოდ წელიწადი მუხურის საზოგადოების სასოფლო შკოლაში იყო მასწავლებლათ; როცა უ. დირექტორს მოელოდა ეს პატიოსანი პედაგოგი თავის შეგირდებს დაითხოვდა: ამა და ამ დღემდის კლასში ნუ მოხვალთო და მოაგროვებდა, თუ ვინმე იყო ამ სოფელში, სხვაგან ნასწავლი ყმაწვილები და აჩვენებდა უ. დირექტორს, რაო და ამისთანა მოწაფეები მყავსო. სხვები სად არიანო?—აქათ არიანო. ამისთანა საქმით დაიმსახურა უ. დირექტორის ყურადღება და ორიოდ წლის შემდეგ გადაიყვანა ჩხარში მასწავლებლად, როგორც უკეთესს ადგილზე. ჩხარის მახლობლად იმან ცოლი შეირთო და მოეკიდა ოჯახობას. შკოლაში კი ხშირად საწყალი ბავშვები ტყუილათ ეყარნ. როცა მობრძანდება კლასში ეს პედაგოგი, მაშინაც არ იტებს თავს. იპისი სწავლება ის არის, რომ ბავშვებს ამღერებს: „Пѣтушокъ, пѣтушокъ; золотой грѣншюкъ“. მერე ეტყვის ბავშვებს: აბა ეხლა წერეთო. შემდეგ შეიძლება, თუ ქეიფმა მისცა, ეგებ წაკითხოს ვისმე რამე რუსულ ენაზე და ამითი გათავდება სწავლა.—

მხლა გავიცნოთ მეორე პედაგოგი ს. პერევისის უ. მ. მსეც მუთისის სასულიერო სასწავლებლის მესამე კლასის მოწაფე გახლავს და ამის პედაგოგიური მოქმედება ბევრად კიდევ უფრო ნაკლები გახლავს, ვინამ ჩხარის განმა-

ნათლებელისა. მის პედაგოგი გახლავს, რომელიც ურების საქმის გარეგის დროს მუთ. შკოლის სასამარლოში, დაპატიცა თავის პატროსნება თავის ჩვენების შეცვლით და რომელიც ეხლა მგონი პასუხის-გებაში გახლავს სამართლის წინ.

რგანის მასწავლებელი, ხომ სასწავლებელშიაც არსად ყოფილა და იმის რუსული სწორეთ მიკიტების რუსულს ჰგავს, მაგრამ მანც პედაგოგია.

რად გავიკვირდებოთ, რომ ამისთანა მასწავლებლების ხელში იპერეთში ხალხის განათლების საქმე ცუდათ წავიდეს. ამ მოკლე ხანში, როგორც ვიცით „საქართველოში წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ“ გაგზავნა იპერეთში ორი კაცი და ამათ უნდა შეეტყუათ შკოლების მდგომარეობა იპერეთში და უნდა შეპირებოდა იქაურ ხალხს შკოლის გახსნას კარგის მასწავლებლით, თუმცა ცოტაოდნეს შენწობას ისინიც მისცემდნენ ამათ, მაგრამ როგორც გავიგეთ „დროების“ № 201-დამ დანიშნულს პირებს ვერაფერი გაურიგებიათ; რადგანაც აქაურ ადმინისტრაციას ნება არ მიუცია, რომ სოფლებში ყრილობა მოეხდინათ.

მე შემძლია უჩვენო „წერა-კითხვის გამავრც. საზ.“ ერთი საზოგადოება, რომელიც დიდს სიამოვნებით მიიღებს იმათ წინადადებას, ფულად შემწეობას მისცემს, არა ნაკლებ სამასის მანეთისა და სხვა შემწეობასაც. ამ საზოგადოებაში სახლიც არის შკოლისთვის აშენებული; ეს გახლავს ჩხარის საზოგადოება. აქ მართლაც რომ კარგი იქნება სასწავლებლის გახსნა, რადგანაც აქ შეგირდის შენახვა იფათ დაჯდება ხორავის იაფობის გამო. ამ შკოლით შეუძლია ისარგებლოს, არა თუ მარტო ჩხარის საზოგადოებამ, არამედ მუხურის, საზანოს და სხ. სოფელს სურს მხოლოდ ერთი ხვირიანი მასწავლებელი და სხვა შემწეობაზედ არავის არ შეაწყუბებს.

მართა მასწავლებელმა, რომელსაც ეს ადგილი შეაძლიეს, სთქვა: „მე ძახეთში ვარ მასწავლებლად; იქ ვასწავლი ქართულ ენაზე და საქმე რიგიანათაც მიმყავს; აქ რომ ჩამოვიდე, რუსულად უნდა ვასწავლო და ვინ იცის, საქმე როგორ წავა“.

საზოგადოთ შორაპნის უეზლში შკოლებზე მე უნდა ესთქვა, რომ ბევრათ სამჯობინარო უნდა იქნეს შორაპნის უეზლში ოთხი შკოლა მარტო გახსნილი ჯერ-ჯერობით, ვინც ყოველ საზოგადოებაში შკოლის გახსნა. მაშინ შეიძლება, რომ ეს ოთხი შკოლა კარგი იქნეს და ბევრი სარგებლობაც მოუტანოს საზოგადოებას. აი ეს ოთხი შკოლა სად უნდა გაიხსნეს: 1) დაბა ჩხარში; 2) დ. საჩხერეში; 3) ხარაგაულში და 4) ამაშუვეთში. თუ ასე მოიქცევა აქაური საზოგადოება, სწორეთ ყველასათვის მოხერხებულ ადგილზე იქნება და ამ ადგილებში შეგირდების შენახვაც იფათ დაჯდება, ხორავის იაფობის გამო.

თუ მასაც მივიღებთ მხედველობაში, რომ დ. შვირილაში არაქართველთა კლასიანი სასწავლებელი „სწორეთ“ გვით ნახსენები ოთხი შკოლა სრულიად საკმაო იქნება შორაპნის უეზლში.

X. X.

შვირილი რედაქტორთან

შუალო რედაქტორო!

მკ. და-რვას წარსულს სექტემბრის „დროების“ გაზეთში მე-200 №-ში მე წავიკითხე რაქილამ კორესპონდენცია, რომელშიაც უფ. მ. მ. სწერს, სხვათა შორის: იპერეთიდან თავადნი წულუკიძეები გამოუჩნდნენ მოცილეთ ხოტევის საზოგადოების, მცხოვრებთ შორის მათაში და აღუქრძალეს სარგებლობა და სხვ.

ამაზედ მე გთხოვთ ამ ჩემს პასუხს მისცეთ ადგალი თქვენს პატივცემულს გაზეთში.

თავადნი წულუკიძენი არიან ძველთაგან რაქაში მებატონეები, როგორც ადგილ-მამულისა, ვგრეთვე დროებითის ვალდებულის ყმებისა, სხვათა შორის, ხოტევის საზოგადოების მცხოვრებნიცა. შორის მათა ეკუთვნის თავათ წულუკიძეთ არა მარტო სიტყვით და გავგონებით, არამედ დამტკიცებულის სიგელით და სარგებლობენ უხსოვარის დროიდან, და თუ ყმები შედიოდნენ შორის მათაში, ეს იყო წულუკიძეების ნებით, რადგან მათი იყო მთაც და გლეხებიც. სარწმუნოდ ვიცი, რომ თავადთ წულუკიძეთა დაადგინეს იმ ტყეში მცველები არა იმისთვის, რომ ხოტევის საზოგადოების მცხოვრებნი შეაფრთხოვნ და აღუქრძალონ სარგებლობა, არამედ ტყე არ გაოხრდეს და არ გაფუჭდეს; როგორათაც ხოტევის საზოგადოებას ისრე სხვა საზოგადოებასაც სრული ნება აქვს მიცემული თავის ოჯახის საჭაროებისათვის ისარგებლონ ტყის მასალით ისრე, როგორც წულუკიძეებმა.

მართი წულუკიძეთაგანი.

31 ოქტომბერი.

საბაასო

უფ. ი. მუხნარბიას.

ჩემი წერილის დაბეჭდვის შემდეგ „დროების“ მე-217 და 218-ში დაიბეჭდა ორი მოწინავე სტატია უ. ი. მეუნარბიასაგან, რომელნიც ამ უკანასკნელი სამღვდლოების ყრილობას შეეხება და ნამეტურ ჩემს მოქმედებას, როგორც ამ შეკრებილების თავს მჯდომარეს. ამისათვის გთხოვთ მისცეთ ადგილი ამ ჩემ უკანასკნელ წერილსაც, რომ საზოგადოებამ სწორი აზრი შეადგინოს ამ საგანზედ.

წინეთაც ესტევი და ეხლაც მოვახსენებთ, უფ. რედაქტორო, რომ იმაზედ უტუდესი არაფერი არა არის-რა როდესაც კაცს საქმე კარგათ ვერ გაუვია, ანუ არიცის და საქმეწმოდ კი აცხადებს ამისთანა საქმეზე მსჯელობას. ამისთანა მოუფიქრებელ და მრუდელ მსჯელობაზე საჭირო არ არის კაცმა პასუხი სწეროს, რადგან ყველა უნდა მიხედვს სიმართლეს და სიმტყუნეს მაგრამ ის არის უბედურება, რომ ჩვენ არ ესცხოვრებთ იმისთანა საზოგადოებაში, რომ ყველა გამოთქმული სიტყვების აწონა და დაფაება შეეძლოს. აი ეს გვაძულებს კიდევ პასუხის გაცემას:

უფ. ი. მეუნარგია „დროების“ მე-217-ის მოწინავე სტატიაში ძლიერ კარგად და გარკვევით გვიხსნის თავმჯდომარის მოვალეობას. მაქებო და ვადიდებთ უფ. მეუნარგიას მისთვის, რომ კარგად ცოდნია თავმჯდომარის მოვალეობა. მაგრამ იქონიეთ სახეში, რომ სიტყვასა და საქმეს შუა ბევრი გარჩევა არის. საუბრებისა იქმნებოდა ევ თქვენი დარჩება თქვენი ქვეყნიდან მოსული დეპუტატებისთვის გარდაცვათ. რათა აწუხებთ ან მამბეტის ან მრევეს?.. ამით ღმერთმა მშვიდობა მისცეს. ჩვენი ყრილობა სხვა განლაგს და სხვა იმის წესებიც..

ძლიერ უსაფუძვლოთ ბრძანებს უფ. მეუნარგია, რომ მე ვითომც ყოველი წინადადების მიცემის დროს თან დავიტანდი: „ჩემი აზრით, ეს ასე სჯობს.“ ამისთანა რჩევა მე მიეცემა დეპუტატებს მხოლოდ ერთ ჯერ, რომელზედაც ქვემოთ ვიტყვი.

ამ შეკრებილობაზე იყო ბევრი სხვადასხვა განათლების და ხასიათის მქონე მღვდლები. აქ იყვნენ გურულები, მეგრელები, იმერლები, ქართლები და კახელები და ზოგი რუსებიც. თქვენი მოწონებული მამბეტაც რომ დაგესვათ იმათ თავმჯდომარედ, იმასაც გაუჭირდებოდა ყველა წესის დაცვა მათში.

მე განსაკუთრებით ყურადღება მქონდა მიქცეული მასზედ, რომ ამ ყრილობაზე დასავლეთი საქართველოს სამღვდლოებს და აღმოსავლეთისას არაფერი უყმაყოფილებას ცუდი ნაყოფი არ მოეტანა ჩვენთვის. საუბედუროთ, მე შევნიშნე ქალაქის სამღვდლოებში ერთი პატივცემული პირი დეპუტატთაგანი და ორიოდ ქართულეთაგანი, რომელთაგანაც სულით და გულით ცდილობდნენ ამ ყრილობის შემდეგ დასავლეთის სამღვდლოების მოშორებას სამუდამოთ. ამას ვხედავდი კარგად და მას ვსცდილობდი, რომ მათი სურვილი არ ასრულებულიყო. აი ამით აიხსნება ის, რომ მე არ ვაქცევდი ყურადღებას არცმ. პავლიევის პირადად ჩემ შეურაცხყოფას და არც სხვისას.

რაც გარდასწყდებოდა დეპუტატები უმეტესობის ხმით იმას ჩემილამ არა ემატებოდა.

ძლიერ მოტყუებული ბრძანდება უფ. მეუნარგია, თუ იმას ფიქრობს, რომ მე პარალელური კლასის გახსნის თაობაზე სხვაც რამე ჩამემატებოდა. შეველა დეპუ-

ტატები და თანხმდნენ პარალელური კლასის გახსნაზე სემინარიაში პირველი კლასისა და არა თეოლოგიის სასულიერო სასწავლებელში, როგორც თქვენ ტყუილად და უაზრით დასწერეთ „თეოლოგიის მოამბეში“ (იხილეთ „თეოლოგიის მოამბე“ № 201. 2 გვერდი 40—60 სტრიქონი).

რაცა შეეხება ამ განყოფილებისათვის საჭირო ფულების შემოტანას ამის თაობაზე მრთელი დეპუტატების აზრი გაიყო ორათ: საქართველოს ეპარხიის სამღვდლოებმა რაც შეხედებით გადასახადთანხვეარი თავის თავზე მიიღეს და ნახევარი სამთლის სარგებლობაგან დასდევს შემოსატანად. იმერეთის, სამეგრელოს და ბურთის დეპუტატებმა სთხოვეს მქსარხოსს, რომ ამის თაობაზე თავთავის ეპარხიებში ჰქონებოდათ მსჯელობა, თუ რა წყარო აღმოაჩინონ ამ ფულის შეკრებისთვის. აქ შესდგა ქურნალი და ასე იყო სურვილი ყველა დეპუტატებისა და თქვენ კი ვერ გაგიგიათ.

სცდებოდა უფ. ი. მეუნარგია, შესახებ ქართულ ენაზე ზოგიერთი საგნების სწავლების დაწესებაზე სემინარიაში. იმის აზრი ამ საგნის თაობაზე კარგად მოუფიქრებელი არ გახლდათ და იმიტომაც მიეცა ცუდი ბოლო იმ თხოვნას, რომელიც იმან შეადგინა... მქსარხოსს ქართული ენის კათედრის დაფუძნებისათვის არ მოუთხოვია სამღვდლოებისათვის საშუალების გამომსახვე მასწავლებლის ჯამაგირისთვის. იმან ბრძანა თუ ქართული სამღვდლო და საეკლესიო წიგნები შესწავლა არ მიდის კარგად, მოუმატეთ ჯამაგირი მასწავლებელს და სხვა მასწავლებელი იქმნება დანიშნული. შტატის დაწესება მე არ შემიძლია ჩემის უფლებით, ეს უმაღლესი მთავრობის საქმეა. თქვენი შეთხოვნი თხოვნა ზოგიერთი მხრით ძლიერ უსაფუძვლო იყო. თქვენი აზრით ძლიერ საჭირო იყო და არის ქართულად სწავლება საზოგადო სამოქალაქო ისტორიისა *). თქვენი აზრი ამ შემთხვევაში ძლიერ მკაცრებს. რა გინდათ თქვენ გააკეთოთ იმით, რომ ქართულ ენაზე ასწავლონ საზოგადო, სამოქალაქო და საქართველოს ისტორია? ამავე დროს რატომ არ თხოულობთ ქართულ ენაზე ასწავლონ ფიზიკაც და სხვა საგნები?.. რატომ არ იცით, რომ ზოგიერთი საგნები თქვენგან მოთხოვნილი არც კი შედის სემინარიის პროგრამაში? თქვენის აზრით, ვითომც იმით წახდა საქმე, რომ სამღვდლოებამ მასწავლებლის ჯამაგირისათვის ფული არ დანიშნეს! რატომ არ იცით, რომ თუ კათედრა დაწესდა შტატის მასწავლებელს მღვდლები კი არ მისცემენ ჯამაგირს, ხაზინა

*) მეუნარგიამ გვთხოვა გამოეცხადოთ, რომ ამ „თეოლოგიის მოამბის“ სტატიის ავტორი ის არ არის.

**) საზოგადო სამოქალაქო ისტორიის ქართულ ენაზე სწავლებაზე არც თხოვნაში და არც უფ. მეუნარგიას სტატიაში არც ერთი სიტყვა არ არის ნათქვამი. იხილეთ „დროება“ № 218 და 225.

მისცემს ისე როგორც სხვა შტატის მასწავლებელს?..

კაცმა ცხენს ვერა უფროსი [დ] უფრო გირი დამტკიარაო, ნათქვამია. იე გე-მართებათ თქვენც, უ. მეუნარგია: სხვაზე რომ ევლა-ჯვრის ამბობო, ჩემზე მოუვები: დიკენურად წაიკოთხო, ხელი არ მოაწერაო და სხვა ამისთანები კიდევ. თუმცა ეს ქალაქი ერთ კაპეკათ არ ღირდა, მაგრამ გთხოვთ შემატყობნოთ: სახელდობრ ვინ მოიტანა ჩემთან და ვის უთხარი უარი არ მოეწერ მაგზე ხელს-მეთქი? მა, უკაცრავად ნუ ვიქმნები, და კარგი ინსინუაცია განლაგეთ ***).

უსაფუძვლოთ უწოდებთ, უ. მეუნარგია, მ. წერეთლის ქალს და მოროზოვსკისასაც კანდიდატების სახელს; ისინი კანდიდატები კი არ არიან, მთხოვნელები არიან უმფროსი ქალის თანამდებობისა საქალბო შკოლაში; კანდიდატებათ მაშინ შეუძლიათ იწოდებოდნენ, როდესაც სამღვდლოებას ყრილობა იცნობდა მათ კენჭის-ყრაში ჩასვლის უფლების მქონებლებათ. სამღვდლოები არც ერთი საბუთების განხილვაში არ შესულა კანონიერად, რადგან ვერც ერთს ვერ იცნობდა მათ პედაგოგიური და ზნეობითი მხრით. შეველა დეპუტატები დაფიქრებული იყო ამ უმფროსი ქალის არჩევაზე. მე მკითხეს რა იყო ჩემი აზრი. მეც უთხარი მაშინ ჩემი აზრი, რომ ასე სჯობს-მეთქი. აი ის აზრი: რადგან კარგად ვერაფერ ვიცნობთ, ერთ-ერთი დროებით მიუშვით ამ თანამდებობაზე და ბოლოს, თუ კარგი გამოდგეს, როგორც იმაზე ისე სხვა მთხოვნელებზე იქმნეს კენჭის-ყრა და სამუდამოთ აღრჩევა-მეთქი. ნამეტანმა ნაწილმა დეპუტატებისა მიიღო ჩემი აზრი და ნამეტანმა ნაწილმა ათ დეპუტატს გარდა ყველა მთხოვნელებში მოროზოვსკის ქალის დროებით დანიშვნა ისურვეს ****) აქ შედგა ჩვენი ქურნალიც.

შველა ჩემი ნათქვამის სიმართლეზე მე ვიმოწმებ კრებისაგან შედგენილ ქურნალებს და ყველა დეპუტატებს.

ბლაღოჩინი მღვდელი დ. ლამაშიძე.

***) რამდენათაც ჩვენ ვიცით, ის ქალაქი რამდენჯერმე ჰქონდა ხელში მ. ლამაშიძეს, როგორც თავმჯდომარეს, საწერ-კალამიც წინ ედგა, და, თუ არავის ერიდებოდა, თუ თანაუგრძნობდა, თხოვნა და შევედრება რა საჭირო იყო, საცა ორმოც-და-ცამეტმა მღვდელ-დეპუტატმა უთხოვნელად მოაწერეს ხელი, იქ იმასაც შეეძლო ერთი კალამი გაეცა!

****) თუ უკაცრავად არ ვიქნებით, მ. ლამაშიძე... ჩართალი არ ამბობს. საქმე იმაშია და უყმაყოფილება იმან ასტეხა კრებაში, რომ იმან ერთს უყარა კენჭი და ამორჩეულად იცნო და მეორეს კი არა.

რედ.



განცხადებანი

ქალ იოანე კოსტანტინეს ძე ბაგრა-
ტიონ-მუხრანსკი აუწყებს საზოგადოად
ცნობად, რომ საყაქრო სახლი წოდებ-
ბით „კნიაზ იოსანე კოსტანტინეს ძე
ბაგრატიონ-მუხრანსკი და ძე“ წმელის
მოქმედებაში 1-ს ნოემბერს ამა 1879
წლისას.

ძანტორა საყაქრო სახლისა იხსნება
ქ. თფილისს, რუსის ბაზარში, სახლი
№ 10.

(3—3)

თფილისის ქალაქის გაგზომვისაგან

თფილისის ქალაქის გაგზომება უცხა-
დებს ამით ტრაქტირების, ხარშოვნების,
ლუქნებისა, სამიკიტნოებისა და პასტია-
ლი დეორების პატრონებს, რომ ისინი
ვალდებული არიან ამ ნოემბრის თვის
15-მდინ აილონ ვაჭრობის მოწმობა; წი-
ნალმდეგ შემთხვევაში, ვინც თაჟის
დროზე ხვადრ ფულს არ შემოიბრანს
და მოწმობას არ აიღებს, იმათი ზა-
ვადენიე დაიკმატება.

(3—3)

ამ დღეებში გამოვა ვოდევილი
„მოდო და ენდეთ ქალსა!“
თხზულება მ. ზ. ჯორჯაძისა.

(5—5)

25 მანეთი საჩუქარი

ვინც იპოვნის და წარმოადგენს შემ-
დეგ დაკარგულ ნივთებს: ერთ წყვილ
ოქროს ზაპონებს, რომელშიაც გაკეთე-
ბულია ქალის პარტრეტების მედალიონი.
ნიშნის ბეჭედს და პერანკის ზაპონებს.
შველა ეს ნივთები ჩაწვობილია წითელი
ტყავის ყუთში.

მპოვნელს ეთხოვთ მოიბრანს სო-
ლოლაკში, პეტრე აბესალომის ძის ბე-
ბუთოვისას.

(2—1)

კავკასიის მედიცინის საზოგადო.

მეა აცხადებს, რომ ტაინა სოვეტნიკის
მ. რ. გომგლატის სახელობაზედ ქა-
ლების ბინაში დანიშნული სტიპენ-
დია ამ ქამად თავისუფალია, დაუ-
ქრელია და ვისაც ამ სტიპენდიის მი-
ღება ჰქურს, შეუძლიან მიმართოს ხსე-
ნებული საზოგადოების სეკრეტარს უფ-
ნ. ნ. შუაკოვს. (ძალონიაში, სახლის
№ 145).

(5—5)

ქალაქის გაგზომვისაგან

თფილისის ქალაქის გაგზომება ამით აცხადებს, რომ, რადგან ამ 1 ნოემბერს
იწყება ვადა მომავალი 1880 წლის ვაჭრობის უფლებებისათვის გილდიის და სხვა
მოწმობის ფულის შემოტანისა ქალაქის ხაზინაში, ამის გამო მოწვევს ყველას,
ვისაც რამე ვაჭრობა, ანუ ხელობა და ანუ წარმოება აქვს დაუქარონ შპრაჟაში
წარმოადგენა, ქალაქის სასარგებლოდ, დნიშნულის გარდასახადისა და ამასთანავე
მიღება ჯეროვან მოწმობებისა და ბილეთის აღება; უპრაჟა სთხოვს შემოსენებულ
ვაჭრებს, რომ ნუ უცდიან ამ ფულის შემოსატანად წლის გათაებას და უკანასკ-
ნელ ვადას, რადგან იმ დროს ერთობ ბევრი გროვდებიან ერთად და თავის დროზე
მოწმობის მიღებას დაბრკოლება მიეცემა.

(3—1)

გიგლიოგრაფიული ცნობა

პირველ-დასაწყისი კურსი რუსულის ენისა ქართულთათვის, შედგენილი
მ. ძალანდარიშვილისაგან, მეექვსე გამოცემა გადაწორებული და დამატებუ-
ლი ი. ბოგებაშვილისაგან, დაბეჭდა და ისყიდება ბრიჭტოვის წიგნის მა-
ლაზიაში ძაკიის ხიდთან. შასი ეგზემპლიარისა ათი შაური. მაგრამ ვინც
ოცს ეგზემპლიარს ერთად იყიდის ნაღდ ფულზედ, იმას წიგნი დაეთმობა
ცხარა შაურათ, ხოლო ვინც ორმოც-დაათზე მომეტებულს წაიღებს ერ-
თათ ნაღდავე ფულზედ, მას ეგზემპლიარი მიეცემა ორ აბაზათ.

(15—6)

რ. ბ. ზ. ა.	დ. ბ. ზ. ა.	ს. ბ. ზ. ა.	II კ.	III კ.	ტელეგრაფი	მან. კაპ.	მაზანდა	მან. კაპ.	თფილისის სამკურნალ.
თფილისი	9 21	5 18	8 კაპ. მ. კაპ.		მ. ცი სიტყვა თფილისიდან		თფილისი 27 ოქტომბ.		მეფენ. მ. ი. წიგნი მძღვაროვ. სახლი.
მცხეთა	10 11	6 27	85 - 44		ძაგასიის აქთა მხარის ყველა		შვე. თფ. ბანჯის ფუთ.	255	დღე დილის 8 საათიდან 10-დინ.
ზორი	11 58	9 43	3 - 153		ქალაქებში	50	შვე. წითელი	220	მ. რ. შ. ბ. ა. თ. ს. ლისიცივი და
ხაშური	129	11 57	473 242		როსტოვს, მდესას, მოსკოვს,	2	მერ ფუთი	140	პარ. ლევიჩი—შინაგ. ავამყოფობის.
სურამი	144		490 261		პეტერბურგს, მარშავს	2	ბაზა მერენისა, ფუთი.	865	ს. ა. მ. შ. ბ. ა. თ. ს. ვერმიშევი შინაგ.
შერდი	5 49		721 369		მსმალეში, შვეიცარიაში	3	— პეტრიკისა, ფ. თ. ს.	930	ავამყოფ; რეიხი—თვადის, შურავე-
რონი	6 57		844 431		იტალიაში და საფრანგეთში	3 50	ბა. ენტალი ბაზა ფუთი.	1170	ლევი—ვენერეილის, და კანისა; ბა-
სამტრედია	7 51		966 493		ინგლისში	3 75	მატყლი თუშური ფუთი.	820	ბოგი—ფულისა და შინაგ.
ახალ-სენაკი	8 43		10 71 547		ფოჩტა		— მარაქამ. სა ფუთი	370	მ. თ. ხ. შ. ბ. ა. თ. ს. ლისიცივი—ში-
ფოთი	9 50		12 24 626		ა) თფილისიდან: სამზღვარ გა-		პბრეშუმ ნუხური სტ.	210	ნაგ, ასტუ-ც ტუროვი—ქალისა და
ფოთი	9 3				რეთ, მეთაისს, რუსეთს—ოველ		შონი ფუთი	580	ბავშვების ავამყოფ.
ახალ-სენაკი	10 14		1 53 - 78		ალე კვირს გარდა. ზუგდ. ორ. შ. და		შონის სანთელი ფუთი.	760	ხუთ შ. ბ. ა. თ. ს. ვერმიშევი—ში-
სამტრედია	11 5		2 61 133		ხუთშ. მ. ზურ.—პარასკ. და ორ. შ. ძა-		სტეპარის სანთელი ფ.	1165	ნაგ. ავამთმე. და შურაველი—კანის
რონი	12 13		3 84 197		ხეთს—სამშ. და შაბ. ბ) მეთაი-		ხორცი ძოხისა. დიტრა		და ვენერეილის.
შერდი	1 18	ლაშე.	5 3 256		იდან: თფილისისა და ფოთისაგან		— ცხერისა, ლ. ტრა		პარა რ. კ. ე. ვ. ს. იქნებიან: ლიხი-
სურამი	5 12		1 10 734 374		ყოველ დღე კვირას გარდა. მ. ზურ-		სპირტი ვედრო	450	ცევი, შინაგ.; ასტუ-ც ტუროვი—ვე-
ხაშური	5 39		1 37 751 384		გეთს—ორ. შ. და პარასკ.		შაქარ ბოტ. ფუთ	725	ნერ. და კანის; ბაბაევი—ფულისა და
ზორი	7 5		4 89 24 473		წიგნის გაგზავნა რუსეთში	კაპ	— ფხვნილი ფუთი	570	შინაგ. ავამყოფ.
მცხეთა	8 50		6 59 139 582		და სამზღვარ გარეთ:		შავა რგალი გრვ.	65	შ. ბ. ა. თ. ს. ვერმიშევი, შინაგ.; შურ-
თფილისი	9 31		7 56 124 626		ლა წიგნის	3	ზეთი ქენჯულისა ფუთი.	14	ავლევი.—ვენერ. და კანის რეიხი—
					დაბეჭდვის (სამი მხსნა)	7	თაბაქო საშუალო ფუთ.	670	თვადის.